# ცნობის ფურცელი

№ 2522 შაბათი, 12 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2522

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 13 ივნისს, **ქ. ქუთაისში** გადახდილ იქნება ორმოცის წირვა საფიჩხიის ეკლესიაში და პანაშვიდი სასაფლაოზე განსვენებულის კაპიტანის

**თავ. იასონ კონსტანტინეს ძის აბაშიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის ქვრივი, შვილები, დები და ძმები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—კნ.—1)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი**

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ თავად-აზნაურობის საგუბერნიო საგანგებო კრებაზე, რომელიც მოხდება ივნისის 12-ს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (არშაკუნისეული, გრიბოედოვის ქუჩაზე). კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მოგებათა განაწილების პროექტი. (6. 3—3)

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

**მ. ტ. ხულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს.

**არ. მ. ხოზოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

**პ. ა. ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

**ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**ნ. ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

**საღამოთი:**

**მ. მ. ხოზოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

**ქუთაისში**

**ექიმი გ. დ. ნასარიძე**

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—20)

**კბილის ექიმი**

**ი. პ. ახალშენიშვილი**

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოთი 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეებში 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

**მკურნალი**

**მიხეილ გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

**ექიმი**

**მ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ფარნაძისა.

**კბილის ექიმი**

**ალ. სოლოღაშვილი**

სამის თვით მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში, სექტემბრიდან კი გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლებში № 12, „კრუჟოკის" გვერდით. (5—2)

**„იუჟნიე ნომერა"**

ბარონის ქუჩაზე, სახლი ა. მანთაშევისა, ახლად გადაკეთებულია. თითო ნომერი ქირავდება დღიურად 50 კაპ. დაწყებული და თვიურად 15 მანეთიდან დაწყებული. (6—230—4)

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშა სააგენტოსაგან)

### 10 ივნისი

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, 9 ივნისს, ღამის 3 საათსა და 40 წუთს გამოგზავნილი: „6 და 7 ივნისს, სენიუჩენის სამხრეთით, 11 ვერსის მანძილზე, ზღვის პირიდან დაწყებული ძნელ სასიარულო მთიან ადგილამდის, რკინის გზის აღმოსავლეთით, იდგნენ ცხენოსან და ქვეითა ჯარის კაცთაგან შემდგარი იაპონელთა მოწინავე სადარაჯო რაზმები. იაპონელები ყურადღებით იცავენ აგრეთვე მთებში გზებს და უღელტეხილებს რკინის გზის აღმოსავლეთით. 7 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათიდან შეამჩნიეს მიძრაობა მტრის დიდ სადარაჯო ცხენოსან და ქვეითა რაზმებისა, აღმოაჩინეს აგრეთვე მოძრაობა იაპონელთა ქვეითა და ცხენოსან ჯარისა. ატეხილ ბრძოლის დროს ჩვენ ზარალი არა გვქონია; იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს რამდენიმე კაცი. შევიტყეთ აგრეთვე, რომ ვაძიაპუზის სამხრეთით, სოფელ მანძიაპუძასა და ხატხაზეისთან იაპონელთა ჯარი გაძლიერდა. ამასთანავე სოფელ ხატხაზეისთან, რომელიც ძევს სიუიანიდან პანჩანსა და სიახოტანზე ტანჩინისკენ მიმავალ გზაზე, იაპონელები ველის სიმაგრეებს აშენებენ. სიუიანიდან გაიჯოუს მიმავალ გზებზე მტრის მოწინავე რაზმებს ეჭირათ 7 ივნისს: ჩრდილოეთის გზაზე—უღელტეხილი პანძიაზეისა და პანჩანიუს შუა (სიახოტანიდან აღმოსავლეთით, 15 ვერსის მანძილზე) და სამხრეთისკენ-უღელტეხილი ჩაპანლინი, სიახოტანიდან 12 ვერსის მანძილზე. 6 ივნისს ჩინელ ბოროტმოქმედთ დასჭრეს ორი ყაზახი, სწრაფ ფოსტის დარაჯები. საიმაძის აღმოსავლეთით, უღელტეხილზე, კუანდრენისკენ მიმავალ გზაზე, იაპონელები სიმაგრეებს აშენებენ და უკვე 18 ზარბაზანი დაუდგამთ. მტრის ძლიერ სადარაჯო რაზმს აგრეთვე უჭირავს სანგრებით გამაგრებული სოფელი საპანგაი, საიმაძის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 40 ვერსის მანძილზე".

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის მეორე დეპეშა, დილის 6 საათზე გამოგზავნილი: „იაპონიის არმია, რომელმაც ცინჯოუდან გამოილაშქრა, ჩრდილოეთისაკენ მიდის. კუროკის არმიის წინსვლა სიუიანიდან შეჩერდა, ცხადია, იმ განზრახვით, რომ ორივე არმიის ჩამორჩენილ მოწინავე რაზმებს დრო მისცენ გაუსწორდნენ ერთმანეთს. სიუიანიდან წინ მიმავალი მტრის მოწინავე რაზმი შესდგება დაახლოვებით ერთ დივიზიისა და რამდენიმე ესკადრონისაგან, სამხრეთიდან მიმავალი კი ცხრა ესკადრონისა და ქვეითა ჯარის ძლიერ რაზმისაგან".

გენერალის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 9 ივნისს: „8 ივნისს, დილის რვა საათიდან, იაპონიის მოწინავე ჯარმა განაახლა წინსვლა ჩვენის სადარაჯო რაზმების წინააღმდეგ. ეს რაზმები იდგნენ სენიუჩენის სამხრეთით, ექვსის ვერსის მანძილზე, რკინის გზის ორსავე მხარეს. ჩვენმა ცხენოსანმა რაზმებმა ველარ გაუძლეს ძლიერ მტერს და ნელ-ნელა დაიხიეს სენიუჩენისა და უფრო უკან—გაიჯოუსკენ. შუადღისას შეამჩნიეს, რომ სენიუჩენზე მოდიოდა მტრის ჯარი, რიცხვით ცხრა ესკადრონი ბატარეითა და კარგა ბლომა ქვეითა ჯარით. შემდეგ აღმოჩნდა მტრის სხვა ჯარიც და საღამოზე იაპონელებმა დაიჭირეს სენიუჩენი. მტერი შესდგებოდა ქვეითა ჯარის ერთის დივიზიისა, ცხენოსანთა ბრიგადისა და 32 ზარბაზნისაგან. ჩვენის მზვერავებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვებით, უღელტეხილის ჩაპანლინის სამხრეთით ჩანდიადიანსა და ლონდიადიანთან თავ-მოყრილია იაპონელთა ჯარი, ერთ დივიზიაზე მეტი. 9 ივნისამდე ჩაპანლინის უღელტეხილიდან ტანჩისკენ იაპონელნი აღარ წაწეულან. სიუიანიდან სიახოტანისაკენ მიმავალ გზაზე იაპონელებს უღელტეხილი უჭირავთ პაიზიობერსა და პანჩანიუს შუა. აქედან წინ ჯერ არ წაწეულან. როგორც მზვერავნი კახანზიდან იუწყებიან, სიუიანიდან მისული იაპონელთა რაზმი, რომელიც შესდგება როგორც ქვეითა ჯარისა, ისე ცხენოსანთა და არტილერიისაგან. 9 ივნისს ხშირი ნისლი იდგა; იაპონელთა ერთ ბატალიონს უნდოდა ამ ნისლით ესარგებლნა და მოულოდნელად იერიში მიეტანა ჩვენ მოწინავე პოზიციაზე ვანძიაპუზასთან, სიუიანიდან ხაიჩენს მიმავალ გზაზე. მაგრამ ამ ბატალიონის განზრახვა ადრე შეამჩნიეს და იაპონელებმა, რომელთაც ჩვენმა მოწინავე როტებმა სროლა დაუწყეს, ზარალით სიუიანისკენ დაიწიეს. ჩვენ დაგვიჭრეს ერთი მსროლელი. 6 ივნისს იაპონელთა ბატალიონმა და ესკადრონმა დაიჭირეს ჩანლინძი მდ. პაოხეს ხეობაში, ლიაოიანის უმთავრესს გზაზე (ფინხუანჩენის ჩრდილოეთით, 10 ვერსის მანძილზე)".

**ტოკიო.** („ვოლფის სააგენტო"). ოფიციალური ცნობა. იაპონიის ჯარის რაზმმა ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე დღეს დაიჭირა სეინიუჩენი, რომელიც მდებარეობს გაიჯოუს

# ფელეტონი

## დროებით ვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვის შესახებ

ამ ჟამად ერთი ფრიად საყურადღებო საკითხია აღძრული და მის გასარკვევად და ასე თუ ისე გადასაწყვეტად ბჭობა და მსჯელობაა გამართული. ეს არის დროებით ვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვის მოწყობა და ძველ ბატონყმურ ურთიერთობის მოსპობა. მთავრობას განუზრახავს, საბოლოვოდ მოაწყოს ჩვენში სანადელო მიწების გამოსყიდვის საქმე და ამიტომ დღეს მთავარ-მართებლის საბჭოში, სადაც მოწვეულნი არიან მემამულეები და სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელენი, იმართება სხდომები და ირჩევა ეს საკითხი.

აღძრული საგანი დიდად საინტერესო და მნიშვნელოვანია. სასურველია, მის გარკვევას არ მიეცეს ვიწრო ჩინოვნიკური ხასიათი და დადგენილი გადაწყვეტილება არ იყოს ცალ-მხრივი, კერძო წოდებრივ ინტერესების გამომხატველი. საჭიროა ფართო საზოგადოებამაც მიაქციოს ამ საგანს ფხიზელი ყურადღება და, პრესსისა თუ სხვა საშუალებით, რამდენადაც ეს დღევანდელს ვითარებაში მოსახერხებელია, მის გარკვევაში გამოიჩინოს შესაფერი ინტერესი და მიიღოს [illegible] მონაწილეობა. ჩვენ მოვიწვევთ ყველა იმ პირთ, რომელთაც აქვთ ჩვენებურ სოფლის ცხოვრების დაკვირვება და პრაქტიკულად შეუსწავლიათ გლეხებისა და მებატონეების ურთიერთობა-დამოკიდებულობა,—გამოსთქვან თავისი აზრი და გააგებინონ მკითხველ საზოგადოებას. ჩვენ სიამოვნებით დავუთმობთ გაზეთში ადგილს იმ გვარ წერილებს, რომლებშიაც ჩვენი გლეხობის მდგომარეობის შესახებ ფაქტებზე აგებული მოსაზრება იქნება გამოთქმული.

მართალია, ჩვენი პრესსა და ჩვენებური მსჯელობა მთავრობამდის ვერ მიაღწევს და მის გადაწყვეტილებაზე ვერ იქონიებს პირდაპირ გავლენას, მაგრამ იგი მაინც არ იქნება სულ მოკლებული აზრსა და მნიშვნელობას. საზოგადოებრივი აზრი ერთნაირი ძალაა, რომელსაც უთუოდ ყველა ჩვენგანი იძულებულია გაუწიოს ანგარიში და მიაქციოს ყურადღება. ამ ჟამად აღძრულ საკითხის გადაწყვეტაში დიდი ხმა და გავლენა აქვს ქართველ თავად-აზნაურობას. იმათი წარმომადგენელნი სხედან იმ საბჭოში, სადაც ეს საგანი ირჩევა; იმათივე წარმოადგენელნი იქნებიან იმ კომისიაშიაც, რომელსაც მიზნად მიწების დაფასება და გლეხებისაგან გადასახდელ ფულის რაოდენობის განსაზღვრა ექნება. ქართველ საზოგადოების მოაზრე და შეგნებულმა ნაწილმა უნდა დაანახვოს მათ, რომ იგი გაფაციცებით თვალს ადევნებს მათს მოქმედებას და თავის დღეში არ დაივიწყებს და არ აპატიებს, თუ ჩვენმა „მოწინავე წოდებამ" აქ მარტო-და თავისი ჯიბე გაიხსენა და უამისოდაც გაჩანაგებული ქართველი გლეხობა სულ მთლად გადატაკებისა და გაკოტრების გზაზე დააყენა...

უკვე ორმოცი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა მოისპო; მაგრამ დღესაც გლეხების ნადელები გამოუსყიდველია და „განთავისუფლებულ" გლეხთა უმრავლესობა თავ-დაუხსნელია. განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში გლეხების სულ მცირე ნაწილს აქვს თავისი ნადელები გამოსყიდული,—უმრავლესობას ისევ ძველებურად „ბატონი" ჰყავს და მას აძლევს მიწის განსაზღვრულ მოსავალს. 1864 წელს განთავისუფლდა აქ და „უსტავნი გრამოტები" დაურიგდა 14506 კომლ (59626 სულს) გლეხს. ნადელად მიეცა მათ: სასახლკარო ადგილი 2308,62 დესეტ., ბაღი და ვენახი 5155,26 დესეტ., სახნავი და სათიბი 48566,19 დესეტ., სულ 56210,07 დესეტ. ამ მიწებიდან 1865—1890 წლებში გლეხებმა გამოისყიდეს, ზოგი თავისი ძალ-ღონით (1304,69 დესეტ.), და ზოგიც სახელმწიფოსაგან აღებულ სესხის საშუალებით (12265,76) სულ 13570,45 დესეტ. ზოგიერთ შემთხვევაში გლეხები მებატონეს მამულს უყოფდნენ და ამ სახით, ნაცვლად ფულისა, ბატონს ნადელის ნაწილს აძლევდნენ. 1890 წელს ტფილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხებს 41120,36 დესეტ. ანუ სულ მთლად სანადელო მიწების $73^0/_0$ ჰქონდათ გამოუსყიდველი (იხ. Сборникъ статистич. данн. о землевлад. и. т. д.). სხვა წყაროში გლეხების ნადელი უფრო მცირე სივრცისად არის ნაჩვენები. სახელდობ ტფილისის კომიტეტი, შემდგარი შარშან სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსაკვლევად, ამ გუბერნიის გლეხებისთვის ნადელად მიცემულ მიწების სივრცეს 52483 დესეტინით აღნიშნავს და ამბობს, რომ 1901 წლამდის მხოლოდ 3475 კომლმა გლეხმა გამოისყიდა ნადელი სივრცით 15124 დესეტინათ ($29^0/_0$) და გამოუსყიდველი დარჩა 37363 დესეტინათ ($71^0/_0$). (იხ. Труды мѣстныхъ комитетовъ, Кавк. край, გვ. 461). ცხადია, დროებით ვალდებულ გლეხთა დიდძალი უმრავლესობა თავდაუხსნელია ტფილისის გუბერნიაში.

სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს ამ მხრით ქუთაისის გუბერნია. აქ გლეხების უმრავლესობამ უკვე გამოისყიდა მებატონეებისაგან სანადელო მამულები და განთავისუფლდა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან. იმერეთის გლეხობამ საკუთარის ძალ-ღონით მოახერხა თავის დახსნა და ნადელების შეძენა,—მთავრობისათვის მას არ მიუმართნია და სესხი და დახმარება არ უთხოვნია. მაგრამ დღესაც არის აქ თვალსაჩინო რიცხვი გლეხებისა, რომლებსაც ნადელები ჯერ კიდევ გამოუსყიდველი აქვთ. 1901 წლის დამდეგს ამ გუბერნიაში იყო 22 ათასი კომლი ვალდებული გლეხი, რომლებსაც დაახლოვებით 70 ათასი დესეტინა მიწა ჰქონდათ მებატონეებისაგან გამოსასყიდავი (Труды, გვ. 221).

ამ გვარად, 40 წლის განმავლობაში ქართველმა გლეხობამ ვერ მოახერხა ნადელების შესყიდვა და მებატონეებისაგან თავის დახსნა. დღესაც ბლომად არიან საქართველოში, განსაკუთრებით ქართლ-კახეთში, დროებით ვალდებული გლეხები, რომლებსაც მემამულეებისაგან ბატონ-ყმობის დროიდან გადმონაცემი დამოკიდებულება ვერ გაუწყვეტიათ და ვერ განთავისუფლებულან. და ეს გარემოება დიდად აფერხებს საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებას და კერძოდ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყველამ იცის, რომ მშრომელი მხოლოდ მაშინ მოეკი-

სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 მილის მანძილზე.

ლონდონი („რეიტ. სააგენტო"). სარწმუნო წყაროებიდან ისმის, ვითომ იაპონელები პორტ-არტურთან ჯერ-ჯერობით ენერგიულად არ მოქმედებენ. რუსები, როგორც სჩან, დარწმუნებულნი არიან, რომ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს საკმაო სურსათი აქვს და ამ მხრით დიდხანს გაუძლებს ალყას.

გენერალი კუროპატკინი, როგორც სჩანს, ყველგან თვითონ ადევნებს თვალ-ყურს. ვაფანგოუსთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ თვითონ დაათვალიერა ყველა არმიები და ფრონტი. რუსები შიშობენ, რომ იაპონიის ორივე არმია, რომელთაც დახმარებას უწევენ ჩრდილოეთისაკენ გაგზავნილი რაზმები, მალე შეერთდება. იაპონიის ჯარი, რომელიც 3 ივნისიდან ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე იმყოფება, შეწუხებულია დიდ წვიმებისაგან. წვიმები ხელს უშლიან იმათ სამხედრო ოპერაციებს.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომის ამბები.** ფრანგულ გაზ. „პტი ჟურნალ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: ერთმა მაღალ-წარჩინებულმა რუსის მოხელემ მითხრა, სანამ იაპონელები მანჯურიაში იქნებიან, ციმბირის რკინის გზა ჯარის ზიდვაზე ხელს არ აიღებს. ჩვენ ვერას დროს ვერ დავუთმობთ იაპონელებს. სანამ საჭიროა, დაუღალავად ვიბრძოლებთ და უსათუოდ ჩვენსას გავიტანთო. („რ. ლ.").

„დეილი ექსპრეს"-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროკიმ დაგუშანიდან რამდენიმე დივიზია გაგზავნა ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, უნდა, რომ გენ. შტაკელბერგს გზა მოუჭრასო.

„რუსსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. ჰფიქრობს, იაპონელები წრეს ველარ შემოავლებენ გენ. შტაკელბერგსაო. ბ-ნი ს. კ. სწერს:

გენ. შტაკელბერგმა ვაფანგოუსთან ბრძოლის შემდეგ სადგურ ვანძიალინამდე დაიხია და იქ შედგა, მაგრამ იაპონელები 4 ივნისს ღამეს ლიაოდუნის გზით მოეწივნენ და რუსის ჯარს მარცხენა ფრთიდან დაცემას უპირებდნენ. გენ. შტაკელბერგი იმავ ღამეს ადგა, ფეხ-აკრეფით 25 ვერსტი გაიარა, სენიუჩენში ავიდა და იქ უშიშრად დასასვენებლად შედგა.

„ნოვოე ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: ახალ ბრძოლას ველით. გენ. კუროკიმ გენ. კელერის კორპუსზე გამოილაშქრა. მთებში ყოველ დღე შეტაკება მოსდით მოწინავე რაზმებს.

უცხოეთის გაზეთები სწერენ: გენ. კუროპატკინს ამ ჟამად 200 ათასი ჯარის-კაცი ჰყავს. 15 ივნისამდე ხარბინში მე-10 კორპუსი ჩავა; 1 ივლისამდე მე-17 კორპუსი ჩავა. მერე მე-5 ციმბირის კორპუსიც მიეშველება და გენ. კუროპატკინს მეტად დიდი ჯარი ეყოლებაო. („რ. ლ.").

როგორც ვიცით, ვლადივოსტოკის ესკადრამ იაპონიის ზღვაში გაითარეშა, ორი სატრანსპორტო გემი დალუპა, ერთიც დააზიანა. დღემდე ვერ გამოირკვა რიგზე, რამდენი იაპონელი ჯარის-კაცი იჯდა ამ გემებზე, რამდენი დაიღუპა და რამდენი გადარჩა. რუსული გაზეთები მეტად აქებენ ადმირალ სკრიდლოვსა და ვლადივოსტოკის ესკადრის გაბედულ თარეშს და მეტად ბევრსა სწერენ ამ საქმეზე. გერმანული გაზ. „ნ. ფრ. პრესე" სწერს: ბევრნი მეტად აზვიადებენ ვლადივოსტოკის ესკადრის თარეშის მნიშვნელობას. ეს თარეში საოქმელ გავლენას ვერ იქონიებს სამხედრო საქმეებზე. ეხლა საინტერესო ისაა, რა მოხდება მანჯურიაში, იქ, სადაც გენ. კუროპატკინისა და გენ. კუროკის ჯარები ერთმანეთის პირდაპირ დგანან. ამიტომაც მთელი ქვეყნიერობა გენ. კუროპატკინისა და გენ. კუროკის ჯარისაკენ იცქირება და არა ვლადივოსტოკის ესკადრისაკენაო. („რ. ლ.").

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება ვლადივოსტოკიდან: 2 მაისს კონტრ-ადმირალი იესენი კრეისერ „ბოგატირ"-ით ვლადივოსტოკიდან გავიდა. მეტად ხშირი ჯანყი იდგა. შუადღის დროს, მოდარაჯე აფიცერმა წინ ნაპირი დაინახა, იმ წამსვე მაშინა დააყენებინა, მაგრამ გვიანღა იყო. „ბოგატირ"-ი კლდეს დაეჯახა და ძლიერ დაზიანდა. ეს ამბავი ხელად გაიგეს ქალაქში; ჯერ არავის სჯეროდა, მაგრამ მეორე დღეს, როცა „ბოგატირ"-ის საშველად ერთი კრეისერი და ყინულის მჭრელი გემი „ნადეჟნი" წავიდნენ, ყველა დარწმუნდა, რომ „ბოგატირ"-ი ნამდვილად დაზიანებულიყო. 3 მაისს დიდი ქარი ამოვარდა და ზღვა საშინლად აღელდა; „ბოგატირ"-ი კინაღამ არ ჩაიძირა. მეზღვაურები ხმელეთზე გადაიყვანეს და 5 მაისს გემიდან ზარბაზნები, სანაღმე აპარატები და ყუმბარები გადმოიღეს. ადმირალი სკრიდლოვი ეხლა ცდილობს, რომ გემს უშველოს რამე. („რ. ს.").

**ბრძოლა ვაფანგოუსთან.** „რუს"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ლიაოიანიდან: მე-35 პოლკის უფროსმა დოვბორ-მუსნიცკიმ, ვაფანგრუსთან ბრძოლაში დაჭრილმა, შემდეგი გვიამბო. ვაფანგოუში 2 ივნისს ნაშუაღამევის 2 საათზე მივედ ორის ბატალიონით. დილის 5 საათზე ჩვენს (რუსების) მარცხენა ფრთაზე ბრძოლა დაიწყო და ზარბაზნის სროლა ასტყდა. დილის 8 საათზე ჩემი მესამე ბატალიონიც მოვიდა. ჩემის პოლკის გარდა, მე-32 და მე-36 პოლკი, ერთი ბატარეია და ასი ყაზახი („სოტნა") მეპარა. ჩემი რაზმი უკან, ჯარის ზურგში იდგა. ნაბძანები მქონდა, იაპონელების მარცხენა ფრთისათვის მომევლო. საშინელი მთა გვქონდა გასავლელი. ზარბაზნები ხელით მიჰქონდათ სალდათებს. ჩემს იქით ცენტრის (შუა ჯარის) მარჯვენა მხარეს ერთი ჩვენი პოლკი იდგა, უფრო იქით მე-34 პოლკი იდგა. ჯერ იერიში მივიტანეთ მტერზე, ნელ-ნელა ორი მთის სერი დავიჭირეთ და მესამე სერს მივატანეთ. იაპონელები ფრონტიდან (წინიდან) გვესროდნენ ზარბაზნსა და თოფსა; ზოგნიც მაღალ მთაზე ასულიყვნენ და გვერდიდან სეტყვასავით გვაყრიდნენ ტყვიას. ასე მიდიოდა საქმე ნაშუადღევის 3 საათამდე. ამ დროს იაპონელები ჩვენს ცენტრს მიაწვნენ, უკან დაახევინეს და მერე მარცხენა ფრთას დაეცნენ; ამავე დროს ჩვენს მარჯვენა ფრთასაც გვერდიდან შემოუარეს. 3 საათზე დავინახე, რომ 3 ჩვენი მოწინავე პოლკი უკან წამოვიდა. ამ პოლკებს გზა მივეცი და დავინახე, რომ ერთის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი დუბელტი მძიმედ იყო დაჭრილი. ჩემის პოლკის ორი ბატალიონი და ბატარეიაც უკან გავგზავნე. მესამე ბატალიონი პოზიციაზე დავაყენე, რომ უკან წასულ პოლკებისათვის დახმარება გაეწია და იაპონელები შეეყენებინა. მერე ყველანი ვაფანგოუს ვაგზლისაკენ გავემართენით. უკანასკნელი მთის სერი რომ გადავიარეთ, ჩვენი ბატარეა გაჩუმდა; ამ დროს იაპონელებმა საშინლად დაგვიშინეს ზარბაზანი; უკან დახევის დროს ჩემი მესამე ბატალიონი მთიდან ძირს მიდიოდა, ასე რომ იაპონელები მაღლიდან დაგვყურებდნენ. უკანასკნელ პოზიციაზე როგორც იყო ჩემის მეორე და მეათე როტებისა და ერთის პოლკის დაქანცული ჯარის-კაცები შევკრიბე. ამ დროს მე, კაპიტანი კისლიაკოვი და ადიუტანტი პორუჩიკი ფლანდი დაგვჭრეს. ერთი უნტერ-აფიცერი არაფრის გულისათვის არ იხევდა უკან, იდგა და სალდათებს უბძანებდა: „ესროლეთო". ადიუტანტმა ფლანდმა ცხენი გააჭენა ამ უნტერ-აფიცერისაკენ, რომ უკან წამოეყვანა და სწორედ ამ დროს დასჭრეს. პოდპორუჩიკმა ზელიგერმა ძებნა დაუწყო ფლანდს; იფიქრა, ხომ არ დაიკარგაო. ერთმა სალდათმა დაჭრილი ფელდფებელი ზურგზე აიკიდა და მთელი გზა ისე ატარა. ყველანი ამბობენ, ვაფანგოუდან იმიტომ დავიხიეთ უკან, რომ ჩვენი პოზიციები მეტად დიდ მანძილზე—12 ვერსტის სიგძეზე იყო გაფანტულიო; ამას გარდა ბრძოლა სულ გორებსა და ხევებში სწარმოებდა და ერთი რაზმი მეორე რაზმის ამბავს ვერ იგებდა. ჩვენცა და იაპონელებიც მეტად გულადად ვიბრძოდით. ერთმა ჩვენმა ბატარეიამ ყველა აფიცერი დაჰკარგა: ზოგი მოუკლეს, ზოგი დაუჭრეს; ბატარეის უფროსს იანჟანსკის თვალში მოჰხვდა ტყვია. მარცხენა ფრთა ყველაზე დიდ-ხანს დარჩა პოზიციაზე, ამიტომ ყველაზე მეტი ზარალიც მოუვიდაო.

დაჭრილ პორუჩიკ შარახოვს უამბნია იმავ „რუს"-ის კორესპონდენტისათვის: ჩვენ მარცხენა ფრთაზე სამი პოლკი იდგა 12 ზარბაზნით. იაპონელების მარჯვენა ფრთას გვერდიდან ვუვლიდით. როცა მტრის სანგრებს დავუახლოვდით, უცებ ზურგიდან თოფის სროლა გავიგონეთ. ვიფიქრეთ, ეს ჩვენები იქნებიანო; ხელსახოცებისა და ქუდების ქნევა დავუწყეთ, მაგრამ ზურგიდან უფრო ძლიერ დაგვიშინეს თოფი. ბოლოს გავიგეთ, რომ ეს იაპონელები იყვნენ: ჩვენის ცენტრის (შუა ჯარის) პოზიციები დაეჭირათ და ეხლა ჩვენზე მოდიოდნენ იერიშით. ვიწრო ხეობაში ჩავედით და უკან დავიხიეთ. იაპონელებმა მაღლიდან სეტყვასავით დაგვაყარეს ყუმბარა და ტყვია. 4 ჩვენი ზარბაზანი დააზიანეს და ყველა არტილერისტი აფიცერი დაგვიჭრეს. როცა უკან მივდიოდით, იაპონელები აქეთ-იქიდან გვერდებიდან ზარბაზანსა და თოფს გვესროდნენ. სამი ბატალიონის უფროსი დაგვიჭრეს: კაპიტანი პავლოვსკი, პოდპოლკოვნიკი ფედოროვი და პოდპოლკოვნიკი აქსენოვი. ტყუპი-ძმა სემენოვები დასჭრეს. ერთ პოლკში 20 აფიცერი დასჭრეს. („რ.").

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. სწერს: ვაფანგოუსთან 2 ივნისს მეტად სერიოზული ბრძოლა ყოფილა. ამ ომის დროს ჯერ ასეთი დიდი ბრძოლა არ მომხდარა და რუსის ჯარს ჯერ ასეთი დიდი ზარალი არ მოჰსვლია. გენ. შტაკელბერგს ჯარიც ბლომად ჰყავდა. არც გენ. ზასულიჩს ჰყოლია ამდენი ჯარი ტიურენჩენთან, არც გენ. სტესელს ცინჩოუსთან. გენ. შტაკელბერგს ვაფანგოუსთან 2 ივნისს 32 ბატალიონი ქვეითა ჯარი და 30 ესკადრონი კავალერია და ყაზახთა რაზმები ჰყავდა და 88 ზარბაზანი ჰქონდა. სულ გენ. შტაკელბერგს 2 ივნისს, საზღვარს დამცველი რაზმები, საპიორები და არტილერისტებიც რომ დავთვალოთ, 42 ათასი კაცი ჰყავდა. იაპონელ სარდალს ვაფანგოუსთან

---

დება წარმოებას მუყაითად და ეცდება წარმოების განკარგებას, როცა დარწმუნებულია, რომ შრომის გადიდებული ნაყოფი მასვე დარჩება და არა სხვას. დღეს-კი გლეხი სანადელო მიწაში მეოთხედს აძლევს მებატონეს და იცის, რომ რამდენადაც მეტად გაანაყოფიერებს იგი მიწას და მეტ ოფლს ჩაღვრის ნიადაგში, იმდენადვე მეტი მოსავალი უნდა ერგოს ბატონს თავის მეოთხედით. ადვილი გასაგებია, რომ იგი არ ეცდება ნიადაგის გაპოხიერებას და კულტურის გაუმჯობესებას. ასეთ ვითარებაში აგებს და ზარალობს ორივე მხარე,—როგორც გლეხი, ისევე მებატონეც: ნაკლებ მოსავალს იღებს ერთიც და მეორეც. ეს ისეთი ცხადი მოვლენაა, რომ შეგნებული აქვს ბევრ მემამულეს, ხოლო ადგილობრივ პრესასა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში არა ერთხელ ყოფილა ამისი მავნებლობა აღნიშნული და დასურათებული (იხ., მაგალითად, ე. იოსელიანის მოხსენება, წაკითხული „სამეურნეო საზოგადოება"-ში: „Сельское хозяйство и правовыя отношенія сельскаго населенія", Труды Кавк. Общ. С. Хоз., 1887, № 7—8, გვ. 575—6).

ეს აზრი ნათლად და გარკვევით გამოსთქვეს შარშან ტფილის-ქუთაისის კომიტეტებმაც. „ერთ დაბრკოლებად ზოგადი ხასიათისა,—სწერს ტფილისის კომიტეტი,—რომელიც ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას ტფილისის გუბერნიაში, უნდა ჩაითვალოს დროებით სავალდებულო ურთიერთობა, რომელიც არსებობს მემამულეებსა და გლეხებს შორის" (Труды, გვ. 461).

„ნადელის სიმცირე,—სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში (გვ. 231), —სრული დამოკიდებულება მებატონისაგან, რომლის ნებადაურთველად დროებით ვალდებულ გლეხს არ შეუძლია მოსავლის მოგროვება, და ძალიან დიდი გადასახადი მემამულის სასარგებლოდ ისეთ პირობებში აყენებენ ამ კატეგორიის გლეხთა შრომა-მოქმედებას, რომ მეურნეობაში რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესების შეტანა არა თუ შეუძლებელია, არამედ საზარალოცაა. იმ ვითარებაში, როგორშიაც იმყოფება ამ ჩვენს გუბერნიაში სანადელო მიწების გამოსყიდვის საქმე, ასეთი გაუმჯობესება, რომელსაც დროებით ვალდებულმა გლეხმა უნდა მოახმაროს თავისი დაზოგვილი ფული და ენერგია, მემამულისაგან სრულიად მონაწილეობის მიუღებლად, გამოიწვევს შესამჩნევად გამოუსყიდველ სანადელო მიწებზე ფასების აწევას და ამით გააძნელებს ნადელების გამოსყიდვას.

„იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ წლებში ერთის მხრით მიწა შესამჩნევად გაძვირდა და მეორე მხრით ნიადაგი გამოიფიტა და ვენახები ფილოქსერისაგან განადგურდა, ნადელების გამოსყიდვა ყოველ წლობით უფრო და უფრო მცირდება. 1897 წლამდის საშუალო რიცხვით ყოველ წელიწადს თავს იხსნიდა 1100 კომლი გლეხი, მას შემდეგ-კი თავისუფლდება მხოლოდ 558 კომლი. სულ 30 წლის განმავლობაში ნადელები გამოისყიდა დახლოვებით გლეხების 50°/₀-მა, რომლებიც უფრო შეძლებულთა წრეს ეკუთვნიან, და, უეჭველია, სხვები, თუ მთავრობა არ დაეხმარა მათ, კიდევ დიდხანს დარჩებიან ნახევრად ყმების მდგომარეობაში, რომელიც ადუნებს და ადამბლავებს ადამიანის საუკეთესო ენერგია—თვითმოქმედებას."

ამიტომ თავიანთ მოხსენებებში ორივე კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მთავრობამ დაადგინოს ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა და მისცეს გლეხებს ამისთვის საჭირო სესხი და დახმარებაო.

და დღეს სწორედ ამ საგანზეა ბჭობა და თათბირი გამართული. ჩვენმა გლეხებმა ვერ შესძლეს საკუთარის ძალ-ღონით მიწების შესყიდვა და მებატონეთაგან თავის დახსნა,—ვერ მოახერხეს მემამულეებთან შეუთანხმებლობის თუ უსახსრობის გამო,—და მთავრობას გადაუწყვეტია მოახდინოს ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა, მისცეს მემამულეებს ნადელის ფასი და გლეხები თვითონ გაიხადოს განსაზღვრულის ხნით მოვალეებად. ეს იქნება სესხი, მიცემული გლეხებისთვის მებატონეების გასასტუმრებლად. მთავრობა ჩააბარებს მემამულეს მიწის ფასს და ამ ფულს გლეხს დააწერს ვალად. გლეხმა, რომელიც ამის შემდეგ „მესაკუთრე" გახდება, ეს ვალი უნდა იხადოს წლიურად და 49 წლის განმავლობაში თავნიცა და სარგებელიც უნდა გაასწოროს მთლად.

ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დადგენის დროს მთავარ საგანს შეადგენს მამულის დაფასება და ამ დაფასების კვალობაზე „განთავისუფლებულ" გლეხების დავალიანება. ცხადია, უეჭველია, თათბირის ცენტრალურ საკითხს ეს დაფასება შეადგენს, ე. ი. იმის გადაწყვეტა, თუ დესეტინა სახნავი მიწა როგორ უნდა შეფასდეს და, მაშასადამე, მემამულეს ნადელში რა ფასი უნდა მიეცეს. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაში დიდად დაინტერესებულია გლეხიც და მემამულეც. პირველის ინტერესი მოითხოვს, რომ მიწა იაფად ან ხელ-საყრელ ფასად მაინც შეიძინოს, ხოლო მემამულესთვის სასარგებლოა ძვირად დააფასოს და მეტამეტი ფული მიიღოს. აქ ორი საზოგადოებრივ კლასის ეკონომიური ინტერესი ერთმანეთს უპირდაპირდება. ასეთი საქმის გადაწყვეტის დროს წესით ორივე მხარე უნდა იცავდეს თავის სარგებლობასა და ინტერესებს, ორივე უნდა ლაპარაკობდნენ მთავრობასთან და აცნობებდნენ თავის საბუთებსა და მოსაზრებას. სამწუხაროდ, ეს ასე არაა და ეხლანდელს თათბირში გლეხები სრულებით მოკლებულნი არიან ხმასა და გავლენას. აქ მათი ჭაჭანება არაა. ამ ბჭობაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთი მხარე,—მემამულეები, რომლებმაც უნდა დაიცვან როგორც თავისი, ისე გლეხების ინტერესიც. და ეს კი, როგორც იცით, ძალიან ძნელი საქმეა... ძნელია, დაინტერესებულმა პირმა უარჰყოს თავისი ინტერესი და სხვის სასარგებლოდ ილაპარაკოს და იმოქმედოს. ჩვენ არ გვგონია ამ შემთხვევაში მემამულეებმა გლეხების ინტერესი დაიცვან. არ გვჯერა ეს მით უფრო, რომ რამდენიმე საბუთი ხელთა გვაქვს, რომელიც სრულებით ამართლებს ჩვენს ეჭვს და დაუჯერებლობას. მე არ ვიცი, თუ რას ლაპარაკობენ მემამულეები მთავარ-მართებლის საბჭოში და როგორ იცავენ თავისს და სხვის ინტერესებს. ვიცი მხოლოდ, თუ რას ამბობდნენ ისინი შარშან სამეურნეო კომიტეტებში. და იქ ნალაპარაკევი ისეთი ხასიათის არაა, რომ ჩვენს ეჭვს აქარწყლებდეს და მებატონენი უსაზღვრო ალტრუისტებად გამოჰყავდეს. ხსენებულ კომიტეტების სამოქმედო არავისათვის საიდუმლოს არ შეადგენს,—ყველა იქ წარდგენილი აზრი და მოხსენება დაბეჭდილია და გამოცემული ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად და გასაგებად. ჩვენ იქიდან ორ ამბავს გადმოვიღებთ, რომელიც აქ აღძრულ საკითხს შეეხება.

როგორც ვსთქვით, შარშანდელმა საგუბერნიო კომიტეტებმა აღძრეს შუამდგომლობა, რომ მთავრობამ სავალდებულო გახადოს ნადელების გამოსყიდვა. საინტერესოა გავიგოთ, თუ რა პირობებით სცნეს იმათ ამგვარ გამოსყიდვის შემოღება. ტფილისის კომიტეტში სხვა-და-სხვა საკითხების წინ-და-წინ გარჩევა ცალ-ცალკე სექციებს ჰქონდა მინდობილი. გამოსყიდვის მიწების საქმეთა მოთათბირე სექციას თავმჯდომარეობდა თავ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ამ სექციის მოხსენების თანახმად, კომიტეტი სწერს (გვ. 461—2): სანადელო მიწა ვერ იქმნა გლეხების მიერ გამოსყიდული, „რადგან კანონით ამისათვის საჭიროა თანხმობა მებატონისა. მთავრობამ

39,600 ქვეითა ჯარის-კაცი, 2,600 კავალერისტი და 5 ათასი არტილერისტი ჰყავდა. სპეციალისტებიც რომ ვიანგარიშოთ, იაპონელ სარდალს ამ ბრძოლის დროს სულ 49 ათასი კაცი ჰყავდა და 200 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი („პულემეტ“) ჰქონდა.

**საუბარი იაპონელ დიპლომატთან.** ცნობილი იაპონელი დიპლომატი ბარონ სუემასუ ამ ჟამად პარიზში იმყოფება. ამბობენ, იაპონელ სახელმწიფო მოღვაწეს დიდი საქმე აქვს მინდობილი იაპონიის მთავრობისაგანო. ფრანგულ გაზ. „ტან“-ის თანამშრომელს უნახავს ბარონი სუემასუ და შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე უსაუბრნია. იაპონელ დიპლომატს უთქვამს: მე რამდენისამე თვის წინადვე ვიცოდი, რომ რუსეთსა და იაპონიას აუცილებლად ომი მოუვიდოდათ. იაპონია ისე კარგად დაემზადა საომრად, რომ თუ საჭირო იქნება, ორ-სამ წელიწადს გაუძლებს ომსა. რაც ეხლა ფული გვაქვს, ჯერ კარგა ხანს გვეყოფა, და როცა გამოგველევა, იმედი გვაქვს, სესხად ვიშოვით.

—რომ გაიმარჯვოს, რას მოითხოვს იაპონია?

—სანამ ჩვენსას არ გავიტანთ, იარაღს არ დავყრით; მაგრამ რომელიმე სახელმწიფომ რომ ეხლავე მორიგებაზე ლაპარაკი ჩამოაგდოს, მგონია, ჩვენი ხალხი უარს არ იტყვის და ამ მომრიგებელის ლაპარაკს ყურადღებას მიაქცევს. რუსეთმა გადაჭრით გამოაცხადა, არავის შუამავლობას არ დავსთანხმდებითო. იაპონია სხვა თვალით უყურებს საქმეს. რომელიმე მეგობარმა სახელმწიფომ რომ შუამავლობა იკისროს, ჩვენი ხალხი დიდის ხალისით მოისმენს იმის ნათქვამს, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ მორიგების დროს იაპონიის არსებით ინტერესებს არა ევნოს რა.

დასასრულ იაპონელ დიპლომატს უთქვამს: იაპონია ყოველნაირად ეცადა, რომ ჩინეთს ნეიტრალიტეტი არ დაერღვია; ჩინეთი რომ საქმეში გაერიოს, იაპონიას უფრო მეტი ზარალი მოუვა, ვიდრე სხვა დიდ სახელმწიფოებსაო. („რ. ს.“).

# ახალი ამბავი

◆ დღეს, 12 ივნისს, მოხდება გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის წლევანდელი წმინდა მოგება.

◆ დღეს, საღამოს, ავჭალის აუდიტორიაში, მოხდება საზოგადო კრება **ტფ. სიფხიზლის საზოგადოების** წევრთა. ანგარიშების და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ უნდა მოხდეს კომიტეტის წევრების არჩევა.

◆ უმაღლესმა მთავრობამ შესცვალა წესები **ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარიების** შესახებ. ამ წესების ძალით, გორისა, ხონისა და ერევნის სემინარიებში მიიღებიან ყველა წოდებისა და სარწმუნოების ხალხი, ამასთან ვაკანსიებისა და აგრეთვე სახაზინო სტიპენდიების ნახევარი უსათუოდ უნდა დაეთმოთ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ. ამას გარდა დირექტორებსა, სამღვთო სჯულის, და სხვა მასწავლებელთ ისეთივე უფლებანი ენიჭებათ პენსიის მისაღებად, როგორც ამიერ-კავკასიის დირექტორებსა და მასწავლებლებსა აქვთ.

◆ გუშინ ვწერდით, რომ კავკასიის სამრეწველო კომიტეტი მთიელთათვის აარსებს **შინა მრეწველობის სახელოსნოსა და მუზეუმსაო.** სახელოსნო და მუზეუმი არსდება თერგის ოლქის მთიელთათვის. როგორც გამოანგარიშებულია, ამ საქმეს დასჭირდება 38,000 მანეთი. კომიტეტი ამ ჟამად საჭირო ცნობებსა ჰკრებავს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა წესდება ამიროვის სახელობის **სტიპენდიებისათ.** ეს სტიპენდიები დაარსდა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში.

◆ წელს **ბათუმის გიმნაზია** დაამთავრა 25 კაცმა. აქედან 7 რუსია, 2 სომეხი, 1 პოლონელი, 1 ებრაელი და 13 ქართველი: ახობაძე ვიქტორ, ბოლქვაძე გრიგოლ, ქლენტი გრიგოლ, ლომინაძე სერგეი, მუჯირი ხარიტონ, მგელაძე ნიკოლოზ, მჭედლიშვილი დავით, მჭედლიშვილი ვახტანგ, ტატიშვილი გიორგი, ტურაშვილი, ფორაქიშვილი გიორგი, ქეიშვილი მელიტონ და ჩხეიძე სვიმონ.

◆ წელს **ბათუმის ქალთა გიმნაზია** დაასრულა 26 ქალმა. აქედან ოთხი ქართველია: არდიშვილი ეკატერინე, ელიავა ნინო, ნალბანდიშვილი სუსანა, ჯინჭარაძე ნინო (მიიღო ოქროს მედალი).

◆ ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ტვიორდი დაინიშნა **ქუთაისის ოლქის სასამართლოს** წევრად.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ტფილისის ქალაქის **საბჭოს დადგენილება** იმის შესახებ, რომ ინჟენერ ალიხანოვს 500 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს. ქალაქს საქმეთა საგუბერნიო გამგეობამ ეს დადგენილება არ დაამტკიცა, რადგან ალიხანოვს უმსახურნია ქალაქისთვის სულ 4 თვეს, ჯამაგირი-კი რვა თვისა მიუღია.

◆ რედაქციამ მიიღო „ქართული გრამატიკა“, შედგენილი სილოვ. ხუნდაძის მიერ, გამოცემა გ. ი. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიისა. ფასი ათი შაური.

◆ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „რაჭა (გზა და გზა) სოსიკო მერკვილაძისა“. ფასი 20 კაპ.

◆ ტფილისის ქალაქის ლომბარდიდან ამას წინად ვიღაცას მოუპარავს საგულე ორის ძვირფასის ქვით, 400 მანეთად ღირებული. ამავე ხანებში რაღაც მიზეზისა გამო ლომბარდიდან დაუთხოვნიათ მოსამსახურე ტიმოთე სტადნიკოვი. ეს ამბავი ლომბარდის გამგეს უცნობებია პოლიციის ბოქაულისათვის, რომელსაც საქმის გამოძიება მიუნდვია უბნის ზედამხედველის ტერ-საკოვისათვის. საკოვს სტადნიკოვზე ეჭვი მიუტანია. 10 ივნისს საღამოთი პოლიციელს გაუსინჯავს სტადნიკოვის სახლი და აღმოუჩენია ლომბარდიდან მოპარული ორი ბრილიანტი, 4000 მანეთად ღირებული, 14 მარჯანი და საგულე, სულ 5000 მანეთის ნივთები. ქურდს აღმოსჩენია ლომბარდის კვიტანციები. ქურდი დააპატიმრეს.

# ქუთაისის ახალი ამბები

◆ წელს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია დაასრულა და მოწმობა მიიღო 37 მოწაფემ. ამათში 9 რუსია, 4 სომეხი, 2 ებრაელი, 1 ბერძენი და 21 ქართველი: დავით ჩარკვიანი, სიმონ იბაშიძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ლეონიდ ტატიშვილი, მიხეილ ჩიჯავაძე, ლეონიდ შენგელია, სავლე წერეთელი, მიხელ მგალობლიშვილი, ალექსანდრე ი-ძე ჯაფარიძე, ალექსანდრე რ-ძე ჯაფარიძე, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, ვლადიმერ ქაჯაია, ივანე წულუკიძე, სევერიან ლოლობერიძე, ბიკენტი ყუფარაძე, ნესტორ ბალანჩივაძე, ნიკოლოზ ქეიშვილი, დავით დოდაშვილი-მაღარელი, კონსტანტინე ჯაფარიძე, იონა ჯინორიძე და შალვა კრინიცკი.

◆ ქუთაისში ხორცის დიდი სიძვირეა. მთელს ქუთაისში დღეში 3-5 სული საქონელი თუ იკვლება და ესეც ჯარს სჭირდება. ასეთი სიძვირე გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იმ ადგილებში, საიდანაც ქუთაისში მოჰყავთ საკლავი საქონელი, ჭირი გაჩენილა და კარანტინი დაუარსებიათ. ვისაც ადრევე ნაყიდი საქონელი დარჩა, ის მამასისხლად ჰყიდის ხორცს; იმისთვის არავითარი ნიხრი არ არსებობს. ქუთაისში საზოგადოდ ყოველ გვარი სანოვაგე გაძვირდა, მიუხედავად ამისა, რომ ფული ყველაზე უფრო გაძვირებულია.

◆ ნიხრი, როგორც ყასბებისთვის, არც მეეტლეებისთვის არსებობს. არ შეიძლება, რომ მეეტლემ იმაზე მეტი არ მოგთხოვოს, რაც ნიხრის მიხედვით ერგება. ამ დღეებში, მაგალითად, ღამის 12 საათზე 15 წამზე მეეტლემ ერთს მგზავრობაში აბაზის ნაცვლად მომთხოვა სამი აბაზი (ეტლის № 155-ია). როდესაც ნიხრის წიგნაკი მოვთხოვე, მაშინ კი ბოდიში მოიხადა და დამიწყო—ხვეწნა, წიგნაკი დამიბრუნებინა. რადგან ღამე ეტლის ნიხრი ორკეცია, მეეტლეები სარგებლობენ ამით და ღამის 11—12 საათიდან მუშტარს ერთი—ორად მეტს ახდევინებენ. სავალდებულო დადგენილების ძალით კი ორკეცი ნიხრი ნაშუაღამევის პირველი საათიდან დილის 7 საათამდის მოქმედებს.

# ტფილისის ქალაქის საბჭო

### 10 ივნისი

საბჭომ პირველად მოისმინა ტფ. გუბერნატორის მოწერილობა იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას დედათა გიმნაზიებში დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის სტიპენდიების წესდების მე-4 მუხლი. ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილებით სტიპენდიანტები ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის მიერ უნდა იქმნენ არჩეულნი. გუბერნატორი კი სწერს, სტიპენდიანტების დანიშვნისა და რეკომენდაციის უფლება უნდა ჰქონდეს გიმნაზიების საპედაგოგიო საბჭოს; ამისდა მიხედვით შესცვალეთ წესდების ეს მუხლიო. საბჭომ ერთხმად უარ-ჰყო წინადადება აღნიშნულ წესდების შეცვლის შესახებ და დაადგინა, წესდება დარჩეს შეუცვლელად.

კარგა ხანს კამათი გამოიწვია გამგეობის დადგენილებამ საპიორნი ქუჩის გასწორების შესახებ. ეს ქუჩა ერთ ადგილას შევიწროებულია, რადგანაც დიდი ხანია მცხოვრებთ ოზეროვსა და პანკრატოვს ძალიან წინ წაუწევიათ ქუჩისაკენ თავიანთი სახლები. გამგეობის მინდობილებით, თავ. ჩერქეზიშვილს უთხოვნია ამ სახლის პატრონისათვის, დაეთმოთ ქალაქისათვის თავიანთი ეზოების ერთი ნაწილი ქუჩის გასაფართოებლად. ოზეროვს უთხოვნია 7000 მან., ხოლო პანკრატოვს 4000 მან. შემდეგ გამგეობის წევრს თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკს შეუკრებია ცნობები, რომლებიდან სჩანს, რომ 1869 წელს, კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულ გეგმით, საპიორნის ქუჩა სიგანით 7 საჟენი უნდა იყოს მთელს სიგრძეზე; ხოლო ეხლა ქუჩის შევიწროება იმის მიზეზი უნდა იყოს, რომ მცხოვრებთ შემდეგში მიუთვისებიათ ქუჩის ნაწილები. ამიტომ გამგეობის წევრმა არღუთინსკიმ განაცხადა, ჩვენ შეგვიძლიან ვიჩივლოთ, არც ეს 11,000 მანეთი გადავიხადოთ და ჩვენი ადგილი ქუჩის შესასწორებლად უკანვე დავიბრუნოთო. ხმ. ხუდადოვი ამბობს, რომ ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც მას პრინციპიალური მნიშვნელობა აქვსო: ეს ერთი მაგალითი არ არის ჩვენს ქალაქშიო, ესე იგი, დამტკიცებულ გეგმით ქუჩები ბევრგან გაცილებით ბევრად ფართოები უნდა იყვნენ, მაგრამ დაუდევრობისა გამო ზოგიერთებს ადგილები მიუთვისებიათ და ქუჩები საგრძნობლად შეუვიწროვებიათო.

კარგა ხანს კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო წინადადება ხმ. ი. მ. ალიხანოვისა, რომელმაც განაცხადა: რადგანაც ამ საქმეს პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს და საჭიროა საქმე იურიდიულად გამოირკვეს, ამიტომ უნდა ამოვირჩიოთ ხმოსან იურისტთაგან განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ეს საქმე ყოველ მხრით განიხილოს და თავისი აზრი მის შესახებ წარმოგვიდგინოსო.

ქალაქის გამგეობის უფროს ბუხჰალტერს გამგეობისათვის უთხოვნია, ავად ვარ, ფულით შემწეობა

---

მცირე სესხი აქვს დანიშნული გამოსასყიდ მამულზე მისაცემად,—15 მან. ურწყავ დღიურზე და 30 მან.—სარწყავზე. ეს ნორმა, რომელიც დაწესებულია 40 წლის წინად, არ შეესაბამება მიწის ეხლანდელ ფასებს. ამის გამო მებატონეები თავის უფლებით არ სარგებლობენ და მიწის გამოსყიდვას გლეხებისაგან არ თხოულობენ, თუ გლეხები თანხმობას არ განუცხადებენ, რომ, მთავრობისაგან საფასოდ მიღებულ სესხს გარდა, თავის საშუალებით მემამულეს დამატებითი ფასის მიცემით გაუსწორდებიან. ამიტომ სექცია აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რომ... გადიდებულ იქმნას ნადელების გამოსასყიდად მთავრობისაგან ასაღებ სესხის ნორმა, თანახმად მიწის გადიდებულ ღირებულობისა“.

ეს იმას ჰნიშნავს, რომ მემამულეები თხოულობენ: დააწესეთ სავალდებულო გამოსყიდვა, მხოლოდ ჩვენ დიდი, მიწის ეხლანდელ საბაზრო ღირებულობასთან შეთანხმებული ფასები მოგვეცითო. თუ რას მოასწავებს და რისგან წარმოსდგება ეს მამულის „გადიდებული ღირებულობა“, ამაზე ჩვენ ლაპარაკი ქვევით გვექნება. აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ფაქტი,—რომ მემამულეები ძველ მეფასებას არ კმაყოფილდებიან, თხოულობენ ფასების აწევას და, მაშასადამე, მათგან გაამწარებულ გლეხების მეტს დავალიანებას.

ამაზე უფრო საინტერესო და საგულისხმიეროა ის მოხსენება, რომელიც მიიტანეს ქუთაისის გუბერნიის მარშლებმა იქაურს კომიტეტში. კომიტეტმა ერთ თავისს სხდომაზე გამოსთქვა ის საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ ნადელების გამოუსყიდველობა და ძველებურ ბატონ-ყმურ ურთიერთობის არსებობა ხელს უშლის მეურნეობის წარმატებასო. ეს არ მოეწონათ იმერეთის თავადებს,—თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალეს. როგორ,—იფიქრეს იმათ,—ჩვენ გვყავს ვალდებული გლეხები და ჩვენ ვყოფილვართ ეკონომიურ წარმატების ხელის შემშლელნიო. არც აცივეს, არც აცხელეს,—ხელად „მოხსენება“ ანუ „განცალკევებული აზრი“ (особое мнѣніе) გააჭრელეს და კომიტეტში შეიტანეს. „ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია—სწერენ ისინი (გვ. 249)—ნადელების გამოსყიდვის საჭიროების დაფუძნება იმაზე, რომ გლეხები საქმეს [illegible] არ მოეკიდებიან და სასოფლო მეურნეობაში გაუმჯობესებას არ შეიტანენო. ეს აზრი მით უფრო უსაფუძვლოა, რომ მეურნეობის გაუმჯობესება აქ უკანასკნელ 30 წელიწადში არ ეხნება არა მარტო დროებით ვალდებულ გლეხებს, არამედ მესაკუთრე გლეხებსაც და მებატონეებსაც“.

პოლიტიკურ ეკონომიისა და ჩვენი ცხოვრების ცოდნაც ასეთი უნდა: დროებით ვალდებულად ყოფნა ერთად-ერთი ხელის შემშლელი გარემოება არაა სასოფლო მეურნეობის განვითარებისა. შეიძლება ამიტომ მებატონეების მეურნეობას გაუმჯობესება არ ეხნებოდეს, მაგრამ ბატონ-ყმური დამოკიდებულება მაინც ეკონომიურ დაბრკოლებას წარმოადგენდეს. ამასთან ცხადად სცდებიან იმერეთის თავადები, როცა ამბობენ, რომ სამეურნეო გაუმჯობესება ერთნაირადვე არ ეტყობა ყველა კატეგორიის გლეხებს და მებატონეებსო. ვინც დაჰკვირვებია იმერეთის სოფლის ცხოვრებას, შემჩნევია, ისიც, რომ წარმოებისა და საზოგადოდ მეურნეობის მოწყობის მხრით ბევრად მეტი წარმატება ეტყობა მესაკუთრე გლეხებს, ვიდრე დროებით ვალდებულებს. ამის დასამტკიცებელი საბუთები, რომ საჭირო იყოს, ათასობით შეგვეძლო დაგვესახელებინა. სწორედ ჩვენებური მემამულე უნდა იყოს კაცი, რომ სოფლის ცხოვრებაში ასეთი მოვლენა ვერ შეამჩნიოს.

„ჩვენ მაინც—განაგრძობენ „მოხსენების“ ავტორები—სასარგებლოდ გვგონია დროებით ვალდებულ გლეხების მესაკუთრეებად გახდომას იმ მიზნით, რომ სამუდამოდ მოისპოს მათსა და მებატონეებს შორის არსებული სავალდებულო ქონებრივი ურთიერთობა, რომლის გამოისობით სახელმწიფო, მომრიგებელ შუამავლებისა და საგლეხო საქმეთა საკრებულოს ჩინოვნიკების შესანახად, და ზედ-მეტ ხარჯებს ეწევა“.

როგორც ხედავთ, იმერეთის თავადები იმ მხრით ჰპოვებენ ბატონ-ყმობის ნაშთის მოსპობას სასარგებლოდ, რომ სახელმწიფოს ხარჯი შეუმცირდება,—მომრიგებელ შუამავლებისა და საგლეხო საქმეთა საკრებულოს შენახვა აღარ დასჭირდებაო. ასეთი გულმტკივნეულობა და ყურადღება სახელმწიფოს ინტერესებისადმი, რასაკვირველია, ღირსია სამაგიეროსი, და „მოხსენების“ ავტორნიც განაგრძობენ გულ-ახდილად:

„მაგრამ გამოსყიდვის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქმნეს სანადელო მიწებზე არსებული ადგილობრივი ფასები. სხვა-და-სხვა ნაწილები ანუ მაზრები ქუთაისის გუბერნიისა ისე განირჩევიან ერთმანეთისაგან ნიადაგისა, ჰავისა, ეკონომიურ და ეტნოგრაფიულ პირობების მხრით, რომ ერთნაირ ნორმის დაწესება გამოსასყიდ სანადელო მიწებისათვის გაადატაკებს ზოგ მაზრაში მებატონეებს და ზოგში—გლეხებს. სანადელო მიწების გამოსასყიდად დაფასების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა იმ სარგებლობით, რომელსაც მიწა დღეს იძლევა, არამედ იმ შემოსავლით, რომლის მოცემა მას შეუძლია, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოდ მიწის სიმცირეს და ჰავის პირობებს... ჩვენის აზრით, უსამართლობაა სანადელო მიწებს, რომლებიც თავის გულში შეიცავს მინერალურ სიმდიდრეს (შავ ქვას, ნახშირს და სხვ.), ფასი დავადვათ იმ შემოსავლის მიხედვით, რომელსაც იძლევა მასზე გაშენებული სიმინდის ყანა. ამიტომ სავალდებულო გამოსყიდვის დაწესების დროს საჭიროა ვიხელმძღვანელოთ „ადგილობრივი პირობებით“, რომელნიც განსაზღვრავენ სანადელო მიწების უფრო სამართლიან ფასს... ამ გვარს საფუძველზე მოხდენილი გამოსყიდვა ნადელისა, რომელიც შეთანხმებული იქნება მთელი გუბერნიის მცხოვრებთა ნამდვილ საჭიროებასთან, არავისთვის არ იქნება საზარალო („გამანადგურებელი“) და ვერც გამოიწვევს რაიმე უკმაყოფილებას“.

აი, ამას მოითხოვს თურმე იმერული „სამართლიანობა“. მთელი საუკუნეების განმავლობაში გლეხები არჩენდნენ „ბრწყინვალე“ წოდების ჩამომავლობას, მათთვის ღვრიდნენ ოფლს და იწირვებდნენ ცხოვრებას. „სამართლიანობა“ მაინც ბატონების მხარეზე ყოფილა და მერე კიდევ ისეთი „სამართლიანობა“, რომელიც მოითხოვს, რომ სახნავი მიწა ოქროს წონად უნდა დაფასდეს იმ მოსაზრებით, რომ შიგ მიწაში, შეიძლება, ოქრო ან სხვა რამ ძვირფასი მადანი მოიპოვებოდესო. უნდა დაფასდეს თურმე არა იმ სარგებლობის მიხედვით, რომელსაც აძლევს დღეს მიწა მშრომელს, არამედ იმ შემოსავლის საფუძვლით, რომელიც შეიძლება მიიღოს, როცა ჩვენი წარმოების ტეხნიკა წარმატებაში შევა და ამერიკელებისას დაემსგავსება. ასე აწეულ ფასების მიღება ჰსურთ ჩვენს მემამულეებს და იმას არ კითხულობენ, რომ გლეხებმა რით უნდა გადაიხადონ ეს ვალი, სანამ ჩვენ გაგვამერიკელდებოდეთ. თუ მიწისგან მიღებული შემოსავალი დღეს დღეობით ცოტაა, რით უნდა გაასწორონ გლეხებმა ის აწეულ ფასების თანახმად აღებული სესხი, რომელიც მემამულეებს უნდა მისცენ და თავი ყმობისაგან გაითავისუფლონ? თქმა არ უნდა, ამგვარად „შეძენილი“ მამული მათი გადატაკებისა და დავალიანების დაუშრეტელი წყარო გახდება და, ნაცვლად გაუმჯობესებისა, მათი ყოფა ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსება. სწორედ იდეალური უნდა იყოს ის „სამართლიანობა“, რომელსაც ასეთი შედეგი მოჰყვება.

ამიტომ იყო, რომ ჰოგახსენებდით: მებატონენი ვერაფერი დამცველები იქნებიან გლეხთა ინტერესებისა მეთქი... **ფ. გოგიჩაიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

აღმომიჩინეთ და ორი თვით სამსახურიდან გამანთავისუფლეთო. ქალაქის გამგეობას დაუნიშნავს ვერმიშევისათვის 180 მან. ვერმიშევს ხელმეორედ უთხოვნია, მეტი შემწეობა მომეცითო. გამგეობას დაუნიშნავს 300 მან. ბ. ლუნკევიჩი და ზოგი სხვა ხმოსანი წინააღმდეგნი გაუხდნენ გემგეობის დადგენილებას და განაცხადეს, საკმარისი იქნება თუთხმეტი თუმანი მივცეთ ვერმიშევსაო, რადგანაც ჯამაგირსაც აიღებსო და თვეში 233 მანეთი აქვსო. კენჭის ყრით საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება და უფროს ბუხჰალტერს ვერმიშევს 300 მან. შემწეობა მისცა.

დასასრულ საბჭომ რამდენიმე წვრილი საქმეები განიხილა, სხვათა შორის, გადასდო 1400 მან. ოქროყანის ქუჩის შესასწორებელ-შესაკეთებლად.

## სასამართლო

### I

### თავდასხმა და გაძარცვა

10 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია სააპელაციო საჩივარი სიღნაღის მაზრის გლეხის დიმიტრი უთიაშვილისა. შარშან უთიაშვილი, როგორც გამოძიებით აღმოჩნდა, ვიღაც 5 შეიარაღებულ ბოროტ-განმზრახველთან ერთად ღამე თავს დასცემია გურჯაანის მღვდლის ჭანტურიძის სახლს, იმის შინ არ ყოფნის დროს. ავაზაკებს გამოუმტვრევიათ სახლის კარები, ორი დარაჯად დამდგარა, დანარჩენნი შეცვივნულან და მოუთხოვნიათ, რაც საფასოვანი გააჩნდათ და ფული. ავაზაკებს წაუღიათ ნივთები და ფული 600 მანეთისა. ეჭვი აუღიათ უთიაშვილზე და მართლაც გაჩხრეკის დროს აღმოსჩენია ნივთები, რომელიც მღვდელს თავისად უცვნია. ამას წინად ოლქის სასამართლოს სესსიას სიღნაღში გაურჩევია ეს საქმე, დამნაშავედ უცვნია უთიაშვილი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 8 წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

### II

### ცოლის მოკვლა

ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები დიმიტრი სანიკიძე პასუხის გებაში მიუციათ ცოლის მოკვლისთვის. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ამას წინად განუხილავს ეს საქმე, დამნაშავედ უცვნია იგი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 20 წლით გაგზავნა. სანიკიძეს საქმე გადაიტანა პალატაში, რომელმაც გუშინ განიხილა ეს საქმე და უცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამრთლოს განაჩენი.

### III

10 ივნისს პალატამ განიხილა საქმე სამსახურს გარეშე მყოფ ფელდფებელის თეოდორე ზინუტასი, რომელსაც, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ჰბრალდებოდა ოთხჯერ ციმბირიდან გამოქცევა (ერთხელ კატორგიდან), ფელდფებლების ანდრია სკრიპკასი და ივანე ტიმენკოსი და პრაპორშჩიკის პეტრე მესხის მოკვლა, ამათ ქაღალდებით სარგებლობა და პენსიების მიღება. ოლქის სასამართლომ ზინუტას გადაუწყვიტა 15 წლით კატორგაში გაგზავნა. პალატამ დაამტკიცა ეს განაჩენი.

## წერილები

**რაჭა.** ცუდი წელიწადი დაგვიდგა რაჭველებსი გაზაფხული დადგა თუ არა, დაიწყო ცუდი ამინდები. ისე გავიდა მარტი, აპრილი და მაისი, რომ ერთი მზიანი დღე არ გვინახავს. ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა ხალხს ყანა-ვენახის დამუშავებაში. დათესილსაც ხეირი არ დააყარა და მარცვალი მიწაშივე ამოლპა. ბევრგან ორჯერ სამჯერ დასთესეს სიმინდი, მაგრამ მაინც არა გაეწყო-რა და არ ამოვიდა მიწიდან. თუ ამოვიდა სადმე თითო-ოროლა ღერი სიმინდი, იმასაც გაუჩნდა რაღაც ჭია (მახრა) და შესჭამა. ამ გარემოებამ ძალზე დააფიქრა რაჭველი. წლევანდლამდე ბლომად მოჰქონდათ სიმინდი გასასყიდლად იმერეთიდან და ოსეთიდან, წელსკი აღარავის მოუტანია. სჩანს, იმერეთსაც შემოაკლდა სასულადო, თორემ ასე არ მოგვიძულებდა რაჭველებს, ცოტას მაინც გვითავაზებდა. ვენახების იმედი ჰქონდათ რაჭველებს, მაგრამ, როგორც ეტყობა, იმისგანაც უიმედო უნდა დარჩეს. აქა-იქ სოფლებში რიგიანად არის გამოტანილი, მაგრამ ზოგ სოფელში თუ სრულიად არა, სანახევროდ მაინც გადახმა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფილოქსერამ რაჭაში ფეხი მოიმაგრა. ამ ორ-სამ წელიწადს ფილოქსერამ საგრნობელი ზარალი მიაყენა ვენახებს. ბევრგან, როგორც ზევითა ვსთქვით, სანახევროდ გადახმა და რაც დარჩა ეჭვი არ არის, იმასაც კი დღე არ დაადგება. ვენახების მოსპობა სწორედ ღვთის რისხვაა მუშა ხალხისათვის. რაჭველი გლეხი როგორც-კი თოვლ ქვეშ მიწა გამოჩნდება, შემოდგომამდე ვაზს ევლება თავს. ვენახში ჰლევს თავის ჯანს და ღონეს, ვენაში მუშაობს თავ-დაუზოგველად. რაჭველი ღვინოს ჰყიდის მთიულ სოფლებზე, რომელთაც ვენახები არა აქვთ, და აღებულ ფულით უძღვება ხარჯებს. ეხლა ვაზმაც უღალატა.

ვ. ჭიჭინაძე.

## ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად უბოძა 7 ივნისს კონტრ-ადმირალ იესსენს სტანისლავის ორდენი პირველი ხარისხისა ხმლებით ჩინებულ განკარგულებისა და მამაცობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა იაპონიის ზღვაში იაპონიის სამხედრო ტრანსპორტის „კინშიომარუს" დაჭერის დროს: კრეისერ „ბოგატირის" პირველ ხარისხის კაპიტანს სტემგანს—ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენის ხმლები, კრეისერ „გრომობოის" კაპიტანს დაბიჩს და კრეისერ „როსსიის" კაპიტანს ანდრეევს—ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენები ხმლებით. ტრანსპორტ „ამურის" კაპიტანს ივანოვს—მეოთხე ხარისხის ორდენი წმ. გიორგისა—მამაცობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა პორტ-არტურის ახლოს ნაღმების ჩაწყობის დროს, სადაც იაპონიის ფლოტს უნდა გაევლო. ჩაწყობილმა ნაღმებმა დაღუპეს იაპონელთა ორი ჯავშნიანი გემი.

ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ ინება და დაამტკიცა ნამესტნიკისაგან დანიშნული ჯილდოები 31 მარტს პორტ-არტურთან ბრძოლაში მონაწილეთათვის, რომელთაც მამაცობა გამოიჩინეს: ფლიგელ-ადიუტანტს, გვარდიის ეკიპაჟის მეორე ხარისხის კაპიტანს დიდ მთავარს კირილე ვლადიმერის ძეს—ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის", პირველ ხარისხის კაპიტანს იაკოვლევს I-ს ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის", ლეიტენანტებს: უნკოვსკი I-ს და იენიშ I-ს—ანნას მესამე ხარისხის ორდენები ხმლებით, მიჩმანს შლიპპეს—ანნას მე-4 ხარისხის ორდენი წარწერით „მამაცობისათვის".

31 მაისს ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად ბრძანა: 5 ნაღმიანი გემი, რომელთაც ბალტიის ქარხანაში აშენებენ და 5 ნაღმიანი გემი, რომელთაც ნევის ქარხანაში აშენებენ, ჩარიცხონ გემთა სიაში და დაარქვან: „კასატკა", „სკატი", „მაკრელი". „სტერლიადი", „ფორელი", „ოსეტრი", „ლოსოსი", „ბელუგა", „ხომი", შჩუკა". გასულ წელს ბალტიის ქარხანაში აშენებული ნაღმიან გემ № 150-ს დაერქვას „დელფინი".

**ბლაგოვეშჩენსკი.** ჩამოიყვანეს აქ სახალინის ახლოს მეთევზეთა გემზე დატყვევებული იაპონელები.

**ლიაოიანი.** „ვესტნიკ არმია"-ში დაბეჭდილია ვაფანგოუს ბრძოლის დაწვრილებითი ამბები. გაზეთი აღნიშნავს მემარცხენე ფრთეს ბრწყინვალე მოქმედებას. ამ ფრთეს უფროსობდა გენერალი გენგროსი, რომელმაც ხარბინი დაიცვა ჩინეთის ბრძოლის დროს და თავი ისახელა. ჩვენის მოქმედებით იაპონელთა მემარცხენე ფრთე უკან გაიქცა და თავი მიანება ზოგიერთ ზარბაზნებსა და ტყვიის მტყორცნელებს. მაშველმა ჯარმა იხსნა იაპონიის მემარჯვენე ფრთე. იაპონელნი გამაგრდნენ და მეორე დღეს ხელ ახლა წამოვიდნენ წინ. ჩვენ მემარჯვენე ფრთეზე თავი ისახელეს აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-33 და 36 პოლკებმა, რომელნიც მამაცად იგერიებდნენ მრავლად მოსულ მტერს. მემარცხენე ფრთეზე ყველა პოლკი პირველ ბრიგადისა გასაოცარ სიმამაცით იბრძოდა და ყველაზე მეტად დაზარალდა, თუმცა იაპონელებსაც დიდი ზარალი მიაყენა. მართლდება ის ხმა, რომ იაპონელი სალდათები და აფიცრები სიმამაცისთვის ითვრებიან და ბრძოლაში ისე მიდიან. ყაზახებმა იპოვნეს იაპონელთა სალდათების სასმლის ჭურჭლები, მინდორში დაგდებული. ბევრ ჭურჭელში წყლის ნაცვლად იაპონური არაყი აღმოჩნდა. ჩინელთა სიტყვით, ვაფანგოუს ბრძოლის შემდეგ იაპონელმა სალდათებმა რამდენიმე ღამე ქეიფში გაატარეს.—„ვესტნიკ არმია" ყურადღებას აქცევს იაპონელების ეშმაკობას. იმათი ჯარი გაჭირვების დროს აფრიალებს თავის ეროვნულ დროშებს, რომელიც შორიდან ძალიანა ჰგავს წითელის ჯვრის დროშას. ამ დროშის დანახვაზე ჩვენები სროლას თავს ანებებენ. იაპონელები ბოროტად ხმარობენ თავიანთ დროშებს და ამით ნდობას უკარგავენ თავიანთ წითელ ჯვარს.—ამინდი ლიაოიანში კარგია, რამდენიმე დღე ძალიან ცხელოდა, ძლიერი ცხელი ქარი ჰქროდა და მტვერი იდგა. წვიმა მოისპო. ლიაოიანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შტატი გაადიდეს, მაგრამ სამუშაოს მაინც ვერ ასდიან.

10 ივნისი

**პეტერბურგი.** გენერალ-ლეიტენანტი ანდრეევი დაინიშნა პრიამურის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსისა და პრიამურის ყაზახთა ატამანის თანაშემწედ.

**სტამბოლი** („კორრესპ. ბიურო"). პორტამ გაუგზავნა თავის საელჩოებს ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც აწერილია ბითლისის ვილაეტში მომხდარი ამბები. კერძო ცნობებით, მუშში დაწესდა სამხედრო სასამართლო დამნაშავე სომხების გასამართლებლად. მთებში გახიზნული სომხები უკანვე ბრუნდებიან.

**კოვნო.** მოვიდა ახლად დანიშნული გუბერნატორი კამერჰერი ვერიოვკინი.

**ტვერი.** დასრულდა უფასო კურსები არხეოლოგიისა. კურსებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს. ჩაეწერა 1015 მსმენელი. ზოგიერთ ლექცია 800 კაცამდე ესწრებოდა; წაკითხულ იქმნა 3 ლექცია.

**მინსკი.** წელს მოგილევში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა უნდა გამართათ, მაგრამ გადაიდვა ომის დასრულებამდე.

**ბაქო.** დილის 10 საათზე თავის კანტორიდან სახლში მიმავალს მილიონერ-ვაჩნარს არტემ ივანესძე ადამოვს მიხეილის ბაღში თავს დაესხნენ სამი უცნობი ბოროტ-მოქმედი და ხანჯლებითა და რევოლვერებით იქვე მოჰკლეს. ადამოვს წაეშველნენ პოლიციელი და ბაღის დარაჯი; ბოროტ მოქმედებმა ესენიც დასჭრეს.

11 ივნისი

**ლონდონი.** („რეიტ. სააგ."). მეფე ედუარდი კილში წავიდა.

**ადენი.** გამოცხადებულია, რომ ქალაქი ადენი შავი ჭირის მხრივ საშიში არ არის.

**ჩიკაგო.** („რეიტერის სააგენტო"). რესპუბლიკის საერთო კონვენტმა ერთხმად გამოაცხადა რუზველტი კანდიდატად პრეზიდენტის თანამდებობაზე და სენატორი ფერბენკსი—კანდიდატად ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე.

**კონსტანტინეპოლი.** ბითლისის ვალი დეპეშით იუწყება, რომ მუშის ხეობაში სომეხ მეამბოხეთა რაზმთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნა 11 სომეხი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

## განცხადებანი

წმ. ანტონის მონასტერთან

10 ამა ივნისიდან იხსნება სავაჭრო დუქანი ყოველ-გვარის სასმელებითა და სურსათით. დუქანთან ახლად შეკეთებული ნომრებია.

(2—2) პატრონი ტ. კუტივაძე და ამხ.



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სო[illegible]ნიის ახლოს. (წ.—176—3)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—38) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—30)